

ზოგიერთი განმარტება ჩემი მოხსენების გამო ბატონ ზაზა ოსმანოვს

ბატონო ზაზა, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოხსენების კომენტარებისათვის. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩემი აზრი. მინდა გულახდილი ვიყო და გამოვტყდე, რომ წერილის ტონმა გამაოცა და ცოტა გულიც კი მატკინა. გამიჩნდა არასასიამოვნო აზრი: წერილი ვინმეს საამებლად ხომ არ არის დაწერილი, რომელიც თავისი დაკავებულობის გამო, როგორც წესი, სტატიის მხოლოდ სათაურს, დასაწყისს ანუ პრობლემის დასმას და დასკვნას კითხულობს, რომ გეჩვენებინათ მისთვის, თუ როგორ შეუპოვარ პოზიციაზე დგახართ მეცნიერების ყოვლისშემძლეობის დასაცავად. ღმერთს ვევედრები ეს აზრი მცდარი იყოს და თუ ასეა, ვეცდები ზოგიერთი განმარტება მოგაწოდოთ ჩემი მოხსენების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არა აქვს ჩემს პასუხს. ვეცდები მაქსიმალურად კორექტული ვიყო, არ მინდა დავემსგავსო პოლიტიკოსებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან არსებული თუ მიწერილი ცოდვების მხილებაში და ლაფის დასხმაში. ნათქვამია „ნუ განიკითხავ“. რადგან მე ვარ „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ წევრი, რომელიც პატრიარქის კურთხევით არის შექმნილი 10 წლის წინ, პატრიარქი კი ყველა თავის გამოსვლაში შეგვახსენებს, რომ ღმერთი პირველ რიგში სიყვარულია, მეც ვეცდები მეგობრულად განვიმარტოთ ზოგიერთი საკითხი ჩემი მოხსენებიდან.

ჩემს განმარტებას დავიწყებ იმით, რომ თქვენ წერთ: „აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს ბ-ნი ა. გერასიმოვის მოხსენების კრიტიკული მიმოხილვა“, მაგრამ სინამდვილეში ეს სტატიის კრიტიკული მიმოხილვა არ არის, კრიტიკა მხოლოდ ჩემი არგუმენტაციის ზოგიერთ საკითხს ეხება. აქვე, შემდეგ წინადადებაში თქვენ ბრძანებთ, რომ „პატივცემული მომხსენებლის „დასკვნები“ უცნაურ ხასიათს ატარებენ“. მინდა აღვნიშნო, რომ თქვენ ჩემ დასკვნებს საერთოდ არ ეხებით, ხოლო ის რასაც თქვენ ჩემ დასკვნებად წარმოაჩენთ (თქვენი სტატიის ბოლო აბზაცს ვგულისხმობ), ის თქვენი ქმნილებაა, რომელსაც მე მომაწერთ და რომელსაც არა მარტო თქვენ, არამედ მეც კატეგორიულად არ ვეთანხმები. ამაზე უფრო ფართოდ მოგვიანებით მოგახსენებთ.

მინდა განვიმარტოთ, რომ ჩემი მოხსენება მიმართულია საშუალო და დაბალი დონის იმ აგრესიული მეცნიერების წინააღმდეგ, რომლებიც ბიბლიაში მოცემულ ცოდნას ლეგენდად მიიჩნევენ, და მეტიც, დასცილიან მას (საერთოდ მეცნიერულ კამათში დაცინვა და შეურაცხმყოფელი გამოთქმები მათი ავტორების სისუსტესა და აგრესიულობაზე მიუთითებს). მოხსენებაში მე გამოვყავი ის სამი დებულება ბიბლიიდან, რომელიც მათ ყველაზე უფრო აღელვებთ და მათი დაშოშმინებისათვის გადავწყვიტე შემეხსენებინა, რომ მათი არგუმენტაცია, რომელიც მეცნიერულ მონაცემებს ემყარება, არ არის ჭეშმარიტი მეცნიერების მოდელურობისა და მულტიპლ განვითარების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტების მეცნიერული განმარტება უკვე საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერული ჭეშმარიტება არის ფარდობითი ცნება და კაცობრიობის ცოდნის დონეზე დამოკიდებული, მე მაინც მომყავს ჩემი დებულების დამამტკიცებელი სათანადო არგუმენტაცია. ყველაფერი ამის შემდეგ მე ვაკეთებ დასკვნას, რომ მიუხედავად იმ უდიდესი

მიღწევებისა, რაც მეცნიერებას გააჩნია, მისი მოდელურობისა და მუდმივი განვითარებაში ყოფნის გამო, მას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია დაამტკიცოს ან უარყოს ბიბლიაში გადმოცემული ცოდნა. ეს არის ჩემი მოხსენების დასკვნა, რომელსაც სამწუხაროდ თქვენ ჩემი მოხსენების კრიტიკულ მიმოხილვაში არ ეხებით. ჩემ მოხსენებაში მე გამოვყავი სამი ასპექტი: ეს არის შემოქმედის მიერ 7500 წლის წინ სამყაროს შექმნა, ადამიანის შექმნა და სასწაულის ფენომენი. აგრესიულმა მეცნიერებმა აიჩემეს სამყაროს 7500 წელი და სასაცილოდ არ ჰყოფნით იგი სამყაროს მეცნიერულ მრავალმილიარდიანი ასაკთან შედარებით. ეს რომ არა, ჩვენ არაფერს ვიტყვოდით ამ თარიღზე. თქვენ არ მოგწონთ სისოვეის არგუმენტაცია ამ თარიღის აღიარების შესახებ. აგრესიული მეცნიერები კი საწინააღმდეგო აზრისა არიან. თქვენ მე მახრალეთ, რომ მე უპირატესობას 7500 წელს ვანიჭებ და ვცდილობ „მოვარგო მას მეცნიერული შედეგები“. სრულებითაც არა! მე გამოვთქვამ აზრს, რომ მეცნიერების განვითარების შედეგად, დროის ბუნების შესწავლის შემდეგ, ეს თარიღები შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს: ან 7500 წელი გაიზარდოს ან პირიქით: მეცნიერული თარიღი შემცირდეს, ან მოხდეს ორივეს ცვლილება მათ დამთხვევამდე, რადგან არ ვიცით დროის ბუნება, როგორ იცვლებოდა მისი მიმდინარეობა მისი არსებობის განმავლობაში, ამიტომ არ შეგვიძლია ცალსახად ვილაპარაკოთ სამყაროს ასაკზე.

თქვენ აღნიშნავთ, რომ (პირველი გვერდის ბოლო ნაწილი) მე სწორად ვმსჯელობ იმაზე, რომ „მეცნიერული ცოდნა ადამიანის მიერ მოპოვებული მიწიერი ცოდნაა, ხოლო ბიბლიაში ღვთიური წარმომავლობის სიბრძნეა მოცემული, ამიტომ მათი შედარება არ შეიძლება“ და შემდეგ აკეთებთ მცირე დანამატს, რომელიც ზედმეტია, რადგან ამავე აზრს მე შემდეგ წინადადებაში გამოვთქვამ: „ჩვენი აზრით, საჭიროა ვეცადოთ ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ აზროვნების იმ მიწიერი საშუალებების გამოყენებით, რომლებითაც მეცნიერება სარგებლობს“.

მადლობთ, რომ მეთანხმებით: „ფიზიკაც რაღაც რწმენაზეა დამყარებული“, მაგრამ არ მოგწონთ, რომ მე მათ დოგმებს ვუწოდებ. მე კი ეს ტერმინი სპეციალურად გამოვიყენე, რადგან დოგმა ჩვეულებრივად რატომღაც გამოიყენება დასაძრახის გაგებით, მიუხედავად იმისა, რომ მას იგივე შინაარსი აქვს, რაც რწმენაზე დამყარებულ აზრს. თუ ბიბლია რწმენაზე ანუ დოგმებზეა დამყარებული, მაშინ მეცნიერებაც დოგმებზეა დამყარებული. თქვენ მიგაჩნიათ, რომ მეცნიერული დოგმები ექსპერიმენტით მტკიცდება. კი არ მტკიცდება (რადგან არავის ჩაუტარებია ექსპერიმენტი და უჩვენებია, რომ ერთ ენერგეტიკულ დონეზე, ორი ერთნაირ სპინიანი ელექტრონი არ არსებობს), არამედ ექსპერიმენტების ასახსნელად დაუმტკიცებელი დებულება, დაშვება, რწმენა შემოაქვთ, რომელიც დროთა ვითარებაში, როგორც არაერთხელ უკვე იყო, შეიძლება შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილი ფაქტები უცვლელი რჩებიან. თუ ამას თქვენ ექსპერიმენტულ მტკიცებას ეძახით, მაშინ ღვთის მიერ სამყაროს შექმნის ფაქტი რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულ ექსპერიმენტად?! და მაშინ ეს დოგმა ექსპერიმენტით განმტკიცებული იქნება.

ახლა იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც თქვენ პოლემიკურს უწოდებთ. ამ ნაწილში თქვენ სრულიად უსაფუძვლოდ მაბრალეობთ მეცნიერებასა და ეკლესიას შორის უფსკრულის გაღრმავებას. ნება მომეცით არ დაგეთანხმოდ, რადგან ჩემი ამოცანა საპირისპირო ხასიათის იყო. გთხოვთ ერთხელ კიდევ წაიკითხოთ ჩემი მოხსენების 27-ე გვერდის ბოლო ნაწილი და 28-ე გვერდი, სადაც მე ვწერ, რომ გამოჩენილ მეცნიერებს არავითარი პრობლემა არა აქვთ ღმერთის რწმენასთან და ბიბლიურ ცოდნასთან, განსხვავებით საშუალო დონის მეცნიერებისაგან, რომლებიც (სამწუხაროდ საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენენ) აგრესიულად არიან განწყობილნი და როგორც მოგახსენეთ, ჩემი გამოსვლაც მათი უსაფუძვლო აგრესიის გაქარწყლებას ეძღვნება. ამ საკითხში ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს დროის ბუნების დაუდგენლობა. ამ პრობლემას უამრავი ღვთისმეტყველი და მეცნიერი განიხილავს. მაგალითად, ნეტარი ავგუსტინე გამოყოფს მარადიულ დროს, რომელიც არ იცვლება და რომელშიც ღმერთი არსებობს, განსხვავებით წარსული და მომავალი დროისა, რომლებიც იცვლებიან. ბიბლიაში ნათქვამია: „1000 წელი წინაშე უფლისა, ბითარცა გუშინდელი დღე“. ნობელის პრემიის ლაურეატმა ილია პრიგოჯინმა კი ამ საკითხს წიგნიც - „დროის ისარი“ მიუძღვნა. დროის ბუნების დაუდგენლობის საილუსტრაციოდ მე მომყავს დროის ბუნების მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული მაგალითი. თქვენ ბრძანებთ: „სინამდვილეში ის იმდენად გადაწყვეტას არა, რამდენადაც მიდგომების სხვადასხვა ვარიანტებს გვამცნობს“. მე კი სრულებითაც არ ვაპირებ მათი საშუალებით რაღაცის „გადაწყვეტას“ და ამიტომ არავითარი მიდგომის ვარიანტები არ მჭირდება. შემდეგ კი თქვენ სწორედ ბრძანებთ: „ჩამოთვლის რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფის პოზიციას დროსთან დაკავშირებით და ასკვნის, რომ ჩვენ ჯერ საკმაოდ შორს ვიმყოფებით დროის გაგებისაგან“. მაგრამ თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ დროის ბუნება დადგენილია, უაღრესად მაღლობელი ვიქნები თქვენი, თუ მას მომაწვდით. მაშინ მე ჩემ აზრს კორექციას გავუკეთებ. მანამდე კი ჩემი აზრი სამყაროს მეცნიერული ასაკის პირობითობის შესახებ აბსოლუტურად მართებულად მიმაჩნია.

ახლა რაც შეეხება კერძო საკითხს კოზირევისეულ დროის ბუნების შესახებ. თქვენ ბრძანებთ: „მოხსენებაში მეტნაკლებად დეტალურადაა განხილული ნ. კოზირევის ერთი საკმაოდ ცნობილი ექსპერიმენტი, რომლის ჩატარების მიზანი იყო გამოერკვია მისი თეორიის სიზუსტე“. სინამდვილეში მე მეორე უფრო მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი მაქვს განხილული, რომელიც დროის მყისიერად გავრცელებაზე და მისი მოქმედებით ნივთიერების ფიზიკური თვისებების ცვლილებაზე მიუთითებს, მაგრამ თქვენ მას კომენტარს არ უკეთებთ. თქვენ მოგყავთ მონაცემები, რომ ძალიან ზუსტი გაზომვებით სასწორის წონასწორობის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ორი ცდის უხეში გაზომვის დროს სხვაობა თუ არ დაიმზირა, ზუსტი გაზომვის დროს იგი შეიძლება აღმოჩნდეს. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, თუ უხეში გაზომვების დროს ორ ცდას შორის სხვაობა არსებობს, როგორ ქრება იგი უფრო ზუსტი გაზომვის დროს. მართლაც, დავუშვათ, რომ ორი საგნის წონის გაზომვის დროს კილოგრამებში ერთის წონა აღმოჩნდა კილოგრამით მეტი, მაშინ გრამებში ზუსტი გაზომვის დროს ის შეიძლება იყოს მეტი ან 999 გრამით, ან 1001 გრამით. ჩემი აზრით,

სიზუსტის მომატების დროს დაირღვა ექსპერიმენტის ჩატარების პირობები. მე ექსპერიმენტატორი ვარ და ბევრჯერ მქონია შემთხვევა, როცა სიზუსტის გაზრდის დროს ირღვევა ექსპერიმენტის პირობები. ამ საკითხმა მე დამაინტერესა და ვეცდები უახლოეს დროში გავერკვიო, მაგრამ აღვნიშნავ, რომ კოზირევის დროის ბუნების შესასწავლად არსებობს უამრავი სხვადასხვა ექსპერიმენტი, როდესაც ნივთიერებაზე დროის სიმკვრივის ცვლილებით იცვლება ამ ნივთიერების ფიზიკური თვისებები. ერთ-ერთი, ჩემი აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი მეც აღვწერე, მაგრამ სამწუხაროდ თქვენ მასზე კომენტარი არ გააკეთეთ. სამაგიეროდ აკეთებთ დასკვნას: „ამიტომ თავად კოზირევის თეორია საზოგადოების მიერ გაზიარებული არ არის“. მინდა შეგახსენოთ, რომ ახალი თეორია სამეცნიერო საზოგადოების მიერ გაზიარებული შეიძლება არ იყოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზით: ამ საზოგადოების სათანადო ინტელექტუალური დონის არ ქონის გამო. როგორც გალილეი ამბობდა, თეორიის სისწორე უმრავლესობის აზრით კი არ მტკიცდება, არამედ ექსპერიმენტით. მე კი მაქვს ინფორმაცია, რომ ციმბირის აკადემიის პრეზიდენტის, გამოჩენილი მათემატიკოსის ლავრენტიევის მეთაურობით შექმნილმა ჯგუფმა დაამტკიცა კოზირევის ექსპერიმენტების სამართლიანობა. დღესდღეობით ბევრი თანამედროვე მეცნიერი კოზირევის გენიოსად აღიარებს. შეგახსენებთ, რომ დღეისათვის რუსეთის აკადემიის ციმბირის განყოფილებაში, ქ. ნოვოსიბირსკში დაარსებულია ნ. ა. კოზირევის სახელობის ინსტიტუტი, რომელიც დროის შესწავლას ახორციელებს მისი მოქმედებით არა მარტო მატერიალური სამყაროს ცვლილებაზე, არამედ - ადამიანის ფსიქიკაზეც. ბევრ მათ ექსპერიმენტში მონაწილეობს რამდენიმე ათასი ადამიანი, მათ შორის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მიუხედავად ამისა დროის ბუნება სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის. მაგრამ ჩემი მოხსენებისათვის კოზირევის თეორიის სამართლიანობას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგი სხვა მიდგომებთან ერთად მჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ დროის ბუნება ჯერ-ჯერობით უცნობია.

ერთ-ერთ ადგილას თქვენ მაბრალებთ, რომ მეცნიერთა უდიდესი ნაწილი მე არაკომპეტენტურად და არაეთიკურად გამოვაცხადე. საიდან გააკეთეთ ეს დასკვნა, არ მესმის. თუ იმის გამო, რომ ოფიციალური მეცნიერება ძალზედ ხშირად დიდი ხნის განმავლობაში არ აღიარებს რევოლუციურ წარმოდგენებს, ეს აღიარებული ფაქტია. წიგნიც კი არსებობს სათაურით: „მეცნიერებისათვის წამებულნი“. მაგალითისათვის მოვიყვანთ მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის და სტატისტიკური ფიზიკის დამაარსებლის ლუდვიგ ბოლცმანის ტრაგიკულ ბედს. როცა ერთ აუდიტორიაში ბოლცმანი სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა მოლეკულურ-კინეტიკურ თეორიაში, მეორე აუდიტორიაში ცნობილი ქიმიკოსი და ფიზიკოსი ვილჰელმ ოსტვალდი მსმენელებს უმტკიცებდა, რომ ატომები და მოლეკულები არ არსებობენ. ბოლცმანი მტკივნეულად განიცდიდა ოსტვალდის წინააღმდეგობას, რომელსაც როგორც მეცნიერს იგი დიდ პატივს სცემდა. ბოლცმანზე მუდმივად ხორციელდებოდა წრეგადასული მეცნიერული თავდასხმები. ხან ენერჯის მუდმივობის კანონის არცოდნა დააბრალებს და ხან რა. შედეგად მეცნიერის ისედაც სუსტი ჯანმრთელობა

შეირყა და მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მას შემდეგ რაც ეინშტეინმა ბროუნის მოძრაობის თეორია შექმნა, ოსტვალდმა აღიარა ატომების და მოლეკულების არსებობა, მაგრამ სამწუხაროდ ეს მოხდა ბოლცმანის გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ. მეორე მაგალითი: ნილს ბორის ატომის თეორიას დიდი ხნის მანძილზე ძველი თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც ოფიციალური სამეცნიერო დაწესებულებებში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ, არ სცნობდნენ. ამ გარემოებით გულდაწყვეტილმა ბორის მოსწავლეებმა მას ჰკითხეს, რა გვეშველებაო? ბორმა აუღელვებლად უპასუხა, ისინი გარდაიცვლებიანო. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ადამიანი, რომელიც განსაზღვრულ წარმოდგენებზეა აღზრდილი, მუშაობს მათზე დაყრდნობით, ასწავლის მოწაფეებს, აღწევს არა მარტო მეცნიერულ, არამედ სოციალურ წარმატებებსაც, წარმოდგენლად ძნელად აღიარებს ამ წარმოდგენების არასრულყოფილებას და ვერ იჯერებს ახალი წარმოდგენების სისწორეს. ასეთ ზეწოლას ყველა ახალი იდეის დამფუძნებელი განიცდიდა: კოპერნიკი, გალილეი, ნიუტონი, მენდელეევი, ციოლკოვსკი და სხვ. ბატონო ზაზა, ადამიანი რომ ახალ აზრს თავიდან მტრულად ხვდება აქვს დასაბუთება არა მარტო ისტორიული მაგალითებით, არამედ ფიზიოლოგიური გამოკვლევებითაც. საქმე ისაა, რომ ბოლო ხანებში ძალზედ ინტენსიურად ვითარდება ე.წ. კონგნიტიური მეცნიერება - ადამიანის ტვინის შესწავლა თანამედროვე ექსპერიმენტული საშუალებებით. აღმოჩნდა, რომ ადამიანი ყოველ ახალ აზრს, მისთვის სასარგებლოასც კი, ხვდება მტრულად და იღებს ამ აზრს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ იგი მისთვის მართლაც სასარგებლოა. ამას ადამიანის თვითშენახვის ინსტინქტით ხსნიან.

ახლა იმ „ფსევდომეცნიერული მსჯელობის“ შესახებ, რომ რუსეთში, იაპონიაში და სამხრეთ კორეაში უშვებენ დანადგარებს, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთზე მეტია. რასაკვირველია, ეს ნიშნავს ენერჯის მუდმივობის კანონის დარღვევას, თუ მარგი ქმედების კოეფიციენტი კორექტულად იქნება გაზომილი. მაგრამ ის სტანდარტული მეთოდისა, რომელიც მიღებულია დღესდღეობით სითბური დანადგარების მარგის ქმედების კოეფიციენტის გამოსაკვლევად დამყარებულია ორ დაშვებაზე, რომ სისტემა ჩაკეტილია, ე.ი. სრულიად იზოლირებული გარემოსაგან, რასაც სინამდვილეში ადგილი არასოდეს არა აქვს, მაგრამ თუ სისტემა საკმაოდ კარგად არის იზოლირებული, შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი ჩაკეტილი სისტემაა. ფიზიკოსები მას კვაზი ჩაკეტილ სისტემას უწოდებენ და ის ცდომილების ფარგლებში უზრუნველყოფს მარგი ქმედების კოეფიციენტის კორექტულ გამოთვლას. მეორე დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ აგრეგატი, რომელიც სითბოს გადატანას უზრუნველყოფს უნდა იყოს ნეიტრალური, ანუ თვითონ არ უნდა გამოყოფდეს ენერჯიას. ჩემი აზრით, ეს პირობა ამ დანადგარში დაცული არ არის, რადგან წყალს, რომელიც გამოყენებულია აგრეგატად, დიდი სისწრაფით, გრიგალურად აბრუნებენ. იქ ალბათ ხდება ქიმიური ბმების დარღვევა და აღდგენა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ენერჯიის გამოყოფა წვის პროცესის მსგავსად. გარდა ამისა, არსებობს კიდევ 2 ჰიპოთეზა ამ ფენომენის ასახსნელად, მაგრამ ფაქტი, რომ სტანდარტულად გამოთვლილი მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთზე მეტია, ჯერ-ჯერობით აუხსნელი რჩება, რაც გამოვიყენე ერთ-ერთ

მაგალითად, რომ არსებობს უამრავი ფაქტი, რომელიც არ არის ჯერ-ჯერობით ახსნილი თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენებით.

ახლა ნობელის პრემიის შესახებ. გულახდილად გეტყვით, როცა მე წავიკითხე მეცნიერმცოდნეების ინფორმაცია, რომ ნობელის პრემიის 40%-სათვის აღმოჩნდა, რომ მათ ასახსნელად გამოყენებული წარმოდგენები არ არის სწორი, გამიკვირდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს დიდი ტრაგედია არ არის, რადგან მეცნიერება იდეათა ბრძოლის სარბიელია, სწრაფად ვითარდება, რაც მოძველებული წარმოდგენების ახლით შეცვლაში მდგომარეობს. „მეცნიერების პროგრესი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არასწორი თეორია შეიცვალოს სწორით, არამედ არასწორი თეორიის შეცვლაში მეორე არასწორით, ოღონდ დაზუსტებულით (სტივენ ჰოუკინგი, დიდი აფეთქების ერთ-ერთი აპოლოგეტი).

ახლა ჩემი „ერთგვარი დასკვნის“ შესახებ, რომ ბიბლიური და საერო ცოდნა ერთმანეთს შეიძლება დაუახლოვდეს მხოლოდ უკანსაკნელის განვითარებით. დიახ, მე ვოცნებობ, რომ „ამისათვის კი საჭიროა მეცნიერთა კრიტიკული და პატიოსანი დამოკიდებულება მიღებული შედეგების მიმართ“. თქვენ რა ამის წინააღმდეგი ხართ? თუ არ იცით, რომ სამწუხაროდ მეცნიერებაში უამრავი ფალსიფიკაცია არის გამოაშკარავებული. მაგალითისათვის მოვიყვანთ ევოლუციონერთა მიერ გარდამავალი ფორმების ფალსიფიკაცია: არქეორაპტერი, პილდაუნელი ადამიანი და სხვ. ფიზიკაში იან ხენდრიკ შენი, ბიოლოგიაში სვან ოსოკი და სხვ. სამწუხაროდ სია ძალზედ დიდია. როგორც მეცნიერმცოდნეები იუწყებიან ფალსიფიკაციის ყველაზე მეტი შემთხვევა ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებებშია, იგი 10%-ს აღწევს! ალბათ ეს გასაგებიცაა. ეს მეცნიერებები ყველაზე ახლოს არიან ახალი წამლების შექმნასთან და დიდ ფულთან. ამაში ყველაზე კარგად ჩანს ადამიანის ცოდვილი ბუნება. „მეცნიერება ყველანაირი ადამიანური ვნებებით დაბინდული თვალებით უყურებს სამყაროს“ (ბერი როჯერ ბეკონი, მე-12 საუკუნის უდიდესი მოაზროვნე).

აქამდე ჩემი პასუხი შედგებოდა ჩემი მოხსენების იმ ადგილების განმარტებებისაგან, რომელიც თქვენ ან არასწორად აღიქვით ანდა რომელიც მე მომაწერეთ. ახლა კი მინდა შევეხო იმ საკითხს, რომელიც თქვენ ყველაზე უფრო გაღელვებთ, როგორც ეს ჩანს თქვენი სტატიის პათოსიდან, იმ მოცულობიდან, რომელიც მას დაუთმეთ და თქვენი წინა ორი პუბლიკაციიდან. ეს არის რწმენა სამყაროს შექმნის შესახებ, რომელიც მსოფლმხედველური ხასიათისაა და რომლის მიმართ ჩვენ რადიკალურად განსხვავებული პოზიციები გაგვაჩნია. როგორც მოგეხსენებათ, გარდა ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა, ამ საკითხზე არსებობს 22 ჰიპოთეზა. თქვენ აირჩიეთ დიდი აფეთქების ჰიპოთეზა, მე კი ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ბიბლიური დოგმა. აქ ყველაფერი არჩევანზეა დამოკიდებული და არა ექსპერიმენტულ მტკიცებაზე. ვერც თქვენ, ისევე როგორც მე სათანადო ექსპერიმენტებს ვერ ჩავატარებთ. ვერც თქვენ ვერ ამიხსნით რამ შეკრა მატერია პატარა წერტილში, რა იყო მანამდე და რამ გამოიწვია აფეთქება. ისე როგორც მე ვერ გეტყვით, როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, რას აკეთებდა იგი მანამდე ან რა არის ღმერთი. ამ საკითხებზე რომ პასუხი გაცეს

ვინმემ, თვითონ უნდა იყოს ღმერთი, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. თქვენ სამყაროს 13 მილიარდიანი ასაკის ერთ-ერთ მტკიცებულებად მიგაჩნიათ ნახშირბადზე დამყარებული რადიომეტრიული მეთოდი, რომელსაც თავისი სუსტი მხარეები აქვს. ერთი ის, რომ იზოტოპი, რომელიც დროთა განმავლობაში წარმოიქმნება, არ არის ცნობილი იმთავითვე რა რაოდენობით იყო. მეორე, რასაც მეცნიერები გვერდს უვლიან, რადიოაქტიური ნივთიერება ზოგიერთ ქიმიურ შენაერთში შესვლის შემდეგ იცვლის თავისი ნახევარდაშლის პერიოდს. და ბოლოს, რომც დაუშვავთ, რომ ყველაფერი კარგად არის ცდაში, თუ დრო არათანაბრად იცვლებოდა, იგი განსაზღვრავს ყველაფერს. სწორედ ამიტომ გავამახვილე მე ყურადღება დროის ბუნების არცოდნაზე. ამიტომ ისე როგორც ბ-ნ მერაბ ჯიბლაძეს, მეც არ მწამს დიდი აფეთქების ჰიპოთეზის, რადგან მის წინააღმდეგ არგუმენტაცია სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია, მაგრამ არა მარტო მე, არამედ კიდევ ბევრად ავტორიტეტულ მეცნიერს. მაგალითისათვის მოვიყვან ნობელის პრემიის ლაურეატის, შვედი ასტროფიზიკოსის, ხანნეს ადვენის აზრს. უწოდებს რა გაფართოებადი სამყაროს კოსმოლოგიურ თეორიას მითს, იგი განაგრძობს: „რაც ნაკლები ხდება მტკიცებულებები, მით უფრო ფანატიკური ხდება რწმენა ამ მითში. როგორც თქვენთვის ცნობილია, ეს კოსმოლოგიური თეორია წარმოადგენს აბსურდის მწვერვალს, რადგან ის უშვებს, რომ სამყარო წარმოიქმნა, რომელიც განსაზღვრულ მომენტში აფეთქებული ბომბის მსგავსად, რომლის ზომები ასე თუ ისე ქინძისთვის ოდენა იყო. როგორც ჩანს, დღევანდელი ინტელექტუალურ გარემოცვაში დიდი აფეთქების უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ იგი არის შეურაცხყოფა საღი აზროვნების: „მჯერა, რადგან ეს აბსურდულია!“

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე არ მწამს დიდი აფეთქებისა, მაღლიერებით ვაღიარებ, რომ მან ძალზედ დიდი როლი ითამაშა მეცნიერების განვითარებაში. ჩატარდა უამრავი ახალი ექსპერიმენტი და გამოთვლები, აიგო ახალი ხელსაწყოები და აპარატურა, მოპოვებულია ბევრი ახალი ფაქტი, ბევრმა ადამიანმა დაიცვა ხარისხი, რაც მათ კვალიფიკაციის ამაღლებას ნიშნავს.

ახლა კი ყველაზე მთავარი, რაშიც კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით. თქვენ ბრძანებთ: „პირადად მე მგონია, რომ დიდი აფეთქების თეორია იმის გამო, რომ აღიარებს სამყაროს წარმოშობას, სწორედ პრობიბლიური შინაარსისაა და როგორც აღნიშნავს სტივენ ჰოუკინგი, წინა საუკუნის პირველ ნახევარში ამ თეორიას დიდი წინაღობები ხვდებოდა ათეისტურ საბჭოთა კავშირში, ვინაიდან ბევრი იმდროინდელი ფუნქციონერი დიდი აფეთქების თეორიაში სამყაროს შექმნის ბიბლიური იდეის აღორძინებას ხედავდა“. როგორც მოგეხსენებათ, დიდი აფეთქების ჰიპოთეზა სწორედ საბჭოთა მეცნიერს ფრიდმანს ეკუთვნის. არ ვიცი რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი საბჭოთა ფუნქციონერის უკმაყოფილება ამ ჰიპოტეზით სტივენ ჰოუკინგის „პრობიბლიურობად“, რადგან მას მკაფიოდ გამოკვეთილი რწმენა აქვს, რომ ღმერთი არ არსებობს, რაც მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავის წიგნში „დიადი ჩანაფიქრი“, რომელიც ლ. მოლოდინოვთან თანაავტორობით გამოსცა 2010 წელს. თქვენ სურვილი კი დიდი აფექების ჰიპოთეზა

პრობიბლიურად წარმოაჩინოთ, ჩემი აზრით, სუფთა წყლის მეცნიერული სეკულარიზმია, რადგან ცდილობთ ბიბლიური ცოდნა მთარგმნოთ მეცნიერულ ჰიპოთეზას. ადამიანური ლოგიკიდანაც კი გასაკვირია, რატომ დასჭირდა ღმერთს მატერიის ჯერ ერთ მცირე მოცულობაში მოთავსება, შემდეგ მისი აფეთქება და შემდეგ იმ ნივთიერებების შექმნა, რომელიც დღეს ბუნებაში არსებობს, როცა შეეძლო ეს ყველაფერი პირდაპირ შეექმნა და ასეც აღასრულა. მეცნიერული და ბიბლიური ცოდნის ასეთი მეთოდით დაახლოება ყოველად დაუშვებელია, რადგან უკანასკნელის შეცვლას მოითხოვს. ჩვენი აზრით, მათი დაახლოება შესაძლებელია მეცნიერების მიერ ჭეშმარიტების მარცვლების თანდათანობით დაგროვების შედეგად და ამ პროცესში აუცილებლად დიდ როლს ითამაშებს წმინდა ადამიანების ღვთიური გამოცხადებები. მანამდე კი მეცნიერება მიუხედავად თავისი მოდელურობისა ბრწყინვალედ ასრულებს თავის როლს ადამიანის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ახლა თქვენი სტატიის მთავარი აზრის გამომხატველი ბოლო აზრის შესახებ. მადლობელი ვარ, რომ იმედს გამოთქვამთ, რომ ჩემი მოხსენება მომავალში „მეცნიერულად უფრო გამართული“ იქნება. გეთანხმებით ჩემი მოხსენება ალბათ შორს არის სრულყოფილებისაგან, მაგრამ უნდა მომიტევოთ, მეც, როგორც ყველა ადამიანი, ცოდვილი და შეზღუდული გონებისა ვარ და გავაკეთე ის, რაც შეეძლო. მაგრამ თქვენი შენიშვნების შემდეგ კიდევ უფრო ვეცდები გავაუმჯობესო ჩემი მოხსენების ხარისხი. და ბოლოს იმ დასკვნების შესახებ, რომელიც თქვენ მომაწერეთ „თანამედროვე“ მეცნიერული შედეგების დიდ სისულელედ გამოცხადება. ამაზე კითხვით გიპასუხებთ. შეიძლება წარმოიდგინოთ მეცნიერებაში სრულიად გაუთვინციობიერებელი, ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელსაც ნანახი აქვს ტელევიზორი, მობილური ტელეფონი ან კომპიუტერი, რომ „თანამედროვე მეცნიერული შედეგების დიდ სისულელედ გამოცხადებას“ ცდილობდეს? მე კი მეცნიერებას 55 წელი შევალე და ჩემს მოხსენებაშიც კი ქება-დიდება შევასხი (იხ. 24-ე და 25-ე გვერდის დასაწყისი).

პატივისცემით ალექსი გერასიმოვი